

ლევან დვალიშვილი

ქ. ქუთაისი, საქართველო

dvalishvililevan@mail.ru

**გარისობის (გარესამხრობის ანუ საველე პირობებში ცხოვრების,  
თავის გატანისა და თვითგადარჩენის) არსი და ზოგადი ისტორიული მიმოხილვა<sup>1</sup>**

კავკასია და კონკრეტულად საქართველოს ტერიტორია, მუდამ იყო სხვადასხვა ცივილიზაციების, დიდ სახელწმიფოთა შეჯახების ადგილი, გამუდმებული ომებისა და თავდასხმების ეპიცენტრი. იდენტობის შენარჩუნების და ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი გზა კარგად მოწესრიგებული საბრძოლო სისტემის არსებობა იყო, რომელიც მრავალ მხარეს მოიცავდა. ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა გარისობას (გარესამხრობას) ანუ საველე პირობებში თავის გატანას და თვითგადარჩენას.

გამუდმებული მტრიანობა ცხოვრების განსაკუთრებულ წესს მოითხოვდა, ბუნებრივია, სამარცვავად, ხალხის დასახოცად და ტყვეების ხელში ჩასაგდებად მოსული მტერი, პირველ რიგში დასახლებულ პუნქტებს ესხმოდა თავს. მოწინააღმდეგე ხშირ შემთხვევაში, მრავალრიცხოვანი იყო და კარგად ორგანიზებულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, საბრძოლო მოქმედებები კი არამხოლოდ შეკრებილი ჯარებით დაპირისპირებას, არამედ პარტიზანულ მოქმედებებსაც მოიცავდა, განსაკუთრებით მთებსა და ტყეებში გახიზნული ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც მოითხოვდა როგორც გარემო პირობების ზედმიწევნით ცოდნას, ასევე ტყის პირობებში თავის გადარჩენის, საკვების მოპოვების, მღევარისთვის კვალის არევის, ტყეში ბრძოლის წარმოების უნარებს.

საქართველოს მტერი არასოდეს მოკლებია და არც ქართველ ხალხს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისა და გადარჩენისათვის, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა გარისობის (გარესამხრობის) ანუ საველე პირობებში თავის გატანის მწყობრი სისტემა.

---

<sup>1</sup> სტატია დაიწერა 2012 წელს, ჩვენი მიზანი არ ყოფილა მკითხველისთვის აკადემიური ნაშრომის შემოთავაზება. გვსურს, პოპულარულ ენაზე მცირე ზოგადი მიმოხილვა წარმოვადგინოთ, თუ რა არის გარისობა (გარესამხრობა). ტერმინი „გარესამხრობა“ იგივე „გარესამხარი“ ეთნოგრაფიულად დადასტურებულია ფშაურ დიალექტში და ნიშნავს მონადირის ან მწყემსის ცხოვრებას საველე პირობებში. თუმცა იმის გამო, რომ თანამედროვე ქართულ ენაში ტერმინმა „გარისობამ“ უფრო გაიკაფა გზა, ჩვენც ძირითადად ამ უკანასკნელს გამოვიყენებთ.

მაგალითად, რომელი ავტორის დიონ კასიუსის ცნობით (II-III ს.) რომელთა ლაშქრის იბერიაში შეჭრის შემდეგ იბერიელი ჯარისკაცებიდან „...ბევრი მათგანი ტყეებს შეეფინა და რამდენსამე დღეს მაღალი ხეებიდან ისრებს უშენდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ როდესაც ტყე გაკაფეს მეომრებიც დაილუპნენ“, როგორც ჩანს პარტიზანული ომის წარმოება იბერიელებისთვის ჩვეული მოვლენა იყო.

მურვან ყრუს შემოსევისას „ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავთანი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შევიდოდეს კავკასიად და დაიმაღლნეს ტყეთა და ღრეთა...მოვიდა ქუეყანად არგუეთისა, და შეიცვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცუნი, და შეეწყუდივნეს ჳელსა წარმართთასა ერნი ქრისტეანეთანი, რამეთუ რომელნიმე ტყეთა დაიმაღლნეს და რომელნიმე მოსრნეს.“

დავით აღმაშენებლის გამეფების წინ საქართველოში არსებულ მძიმე მდგომარეობას მემატინე დრამატულად აღწერს, თურქების მიერ აოხრებული და ფიზიკურად განადგურებული მოსახლეობის მცირე ნარჩენები სწორედ ტყეში იყო თავშეფარებული: თურქები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუჭყანისასა, ვითარცა მკალნი, და დღესა ივანობასა, ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჳყონდიდი, აღივსო თურქითა. მოისრა და ტყვე იქმნა ამათ ქუჭყანათა მკვიდრი ყოველი: მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი, და დაყვეს ამათ ქუჭყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა: მოჭამეს ქუჭყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო, ტყეთა, კლდეთა, ქვაბთა და ჳურელთა ქუჭყანისათა“, ამდენად, მოსახლეობა სრული განადგურებისაგან სწორედ საველე პირობებში თავის გადარჩენის ცოდნამ იხსნა. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის პერიოდში ტყეში ბრძოლის სტილმა იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ სელჯუკების მიერ მეფე დავითისადმი გაგზავნილ წერილში, ისინი ასეთი სიტყვებით მიმართავენ მეფეს „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა“.

მონღოლების შემოსევისას, სამცხის მოსახლეობასაც თავი ციხე სიმაგრეებთან ერთად ტყეებისა და მთებისთვის შეუფარებია: „ხოლო ბექა შევიდა მათა რომელნი არიან შუა გურიასა და აჭარასა და მესხნი შევიდეს ციხეთა ქუაბთა და ტყეთა შინა. მოვლო ლაშქარმან სამცხე და ვერა ავნეს, დაყვეს ოცი დღე და წარვიდეს, დარჩა ქუეყანა სამცხისა მშუიდობით.“, აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში გიორგი მერჩულეს ტაო-კლარჯეთის აღწერისასა საგანგებოდ აღუნიშნავს „მხალთა ველისათა არს სიმრავლე ურიცხვი“.

ტაო-კლარჯეთის მცხოვრებლები კარგად იყენებდნენ საველე პირობებში ბრძოლის მეთოდებსაც, რადგან მემატინე საგანგებოდ აღნიშნავს ბუნებრივი ბარიერების როლს

მტერთან ბრძოლაში „ვერავინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს. რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკვდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკვრცხნი<sup>2</sup> და მკედარნიცა.“

თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევისას მოსახლეობა კვლავ მთებსა და ტყეებს შეხიზვნია „ხოლო წინათვე წარსულ იყვნეს ხიზანნი საქართველოსანი სიმაგრეთა შინა, რომელნიმე მათათა შინა კავკასიისათა, რომელნიმე სხუათა სიმაგრეთა მიმართ იმერთასა, და არღარავინ დაშთა საქართველოსა, არცა იპოვებოდა ხიზანი შენობათა შინა, ყოველნივე შელტოლვილ იყვნეს მათათა მიმართ...მაშინ შემოვიდა საქართველოსა შინა რისხვითა დაუპყრობელითა და, ვითარ იგი ჰგონებდა, ვერ მიემთხვივა ნებასა გულისთქმისა თვისისასა, ვერ პოვნა ხიზანნი...“.

აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას, მოსახლეობის ნაწილი ტყეში გახიზნულა „ლტოლვილთა, რომელთაცა დაუტევენით სახლნი თვისნი და მიმოდრწოდით მათათა და ტყეთა შინა“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, თუმცა ვფიქრობთ, ესეც საკმარისია გარისობის (გარესამხრობის) მნიშვნელობის წარმოსაჩენად, თუ რა ადგილი ეჭირა მას ქართველთა ფიზიკურად გადარჩენის საქმეში, საუკუნეთა განმავლობაში.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისთანავე რუსეთის იმპერიამ რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომების დროს კარგად დაინახა ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლიანობა, როცა ადგილობრივი მოსახლეობისგან შედგენილმა სხვადასხვა საბრძოლო ფორმირებებმა ფაქტობრივად განაპირობეს რუსეთის იმპერიის წარმატება კავკასიის ფრონტზე. მაგალითად, რუსეთ-თურქეთის ომებისას, ხშირად დასავლეთ საქართველოში მტერს არამხოლოდ ბრძოლისუნარიანი მამაკაცები უპირისპირდებოდნენ, არამედ ქალები და ბავშვებიც კი. მცირე მაგალითად ისიც კმარა, რომ ე.წ. „ყირიმის ომის“ დროს (1853-1856), კავკასიის ფრონტზე, ინგლისელ ინსტრუქტორთა მიერ გაწვრთნილი თურქული სამხედრო დანაყოფები, რომლებიც ომარ ფაშას ხელმძღვანელობით შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, სწორედ სამეგრელოს და იმერეთის ჭაობებსა თუ ტყე-ველებში წარმოებულმა პარტიზანულმა ბრძოლებმა შეაჩერა და დიდად დაზარალებული აიძულა უკან დაეხია.

დროის ცვალებადობის, ეთნოგრაფიული ყოფითი ელემენტების დაკნინებისა თუ გაქრობის ფონზე გარისობის (გარესამხრობის) ბევრი მეთოდი და საშუალება დავიწყებას მიეცა, ცალკეული ელემენტები ყველაზე კარგად მონადირეებს და მწყემსებს შემორჩათ<sup>3</sup>.

გარისობა (გარესამხრობა) არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ სამხედრო სისტემა, რათქმუნდა, ტყის სიმდიდრით სარგებლობა და ბუნებასთან თანაცხოვრება

<sup>2</sup> მკვრცხნი- ამ შემთხვევაში ქვეითად მებრძოლს ნიშნავს, რაც ტყე-ღრეში ბრძოლის ტაქტიკის გათვალისწინებით არც უნდა გაგვიკვირდეს.

<sup>3</sup> აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, სადაც „მეკობრეობის“ ანუ ჩრდილოკავკასიელ ტომებზე თავდასხმის და ნადავლის მოპოვების ტრადიცია მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არ მოშლილა, სავლეთ პირობებში თავის გატანის ხერხები შედარებით სისრულით იქნა დაცული.

ადამიანმა უძველესი პერიოდიდანვე დაიწყო და შემგროვებლურ-მომპოვებლური საქმიანობა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც იყო გამოყენებული, შესაბამისად იმ ხერხების ცოდნა, რომელიც ბუნებასთან ჰარმონიაში მცხოვრებ ადამიანს აქვს შემენილი, მისი ყოველდღიური ყოფის შემადგენელი ნაწილია, საველე პირობებში ცხოვრებას და საკვების მოპოვებას საომარი პირობები სძენდა სამხედრო ხასიათს, როცა ადამიანებს ექსტრემალურ სიტუაციაში უწევდათ თავის გადარჩენა და ამას ემატებოდა სტრატეგიულად მოქმედების და ტყეში ბრძოლის წარმოების სპეციფიური ხერხები.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ გარკვეული თავისებურება ახასიათებდა გარისობას (გარესამხრობას) ჯგუფურ ან ინდივიდუალურ შემთხვევაში: მტრიანობის დროს, როცა ხდებოდა მთელი სოფლის ხიზნად წასვლა, მოგარისე ჯგუფი მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო რაიმე დანიშნულებით (დაზვერვა, ნადირობა, მწყემსები, მგზავრობა, შათირი ანუ კურიერი და ა.შ.) შესაძლოა ერთიდან რამდენიმე კაცამდე ყოფილიყო. მაგალითად, ეთნოგრაფიულად დაფიქსირებულია, რომ თუშების მიერ ჩრდილოკავკასიაში სამეკობროდ გადასვლის დროს, ჯგუფი შედგებოდა რამდენიმე კაცისაგან (მცირე ჯგუფი უფრო ძნელი შესამჩნევია და ფარულად მოქმედების, მანევრირების მეტი შესაძლებლობა აქვს), ქართველი მონადირეებიც ხშირად მარტო ან ორიოდ კაცისგან შემდგარი ჯგუფით მიდიოდნენ, თუმცა არსებობდა კოლექტიური ნადირობის სხვადასხვა ფორმები, როცა მთელი სოფელი ერთად გადიოდა სანადიროდ და ა.შ.

მცირე და დიდი ჯგუფების საველე პირობებში ცხოვრებას თავისებურებები ახასიათებდა, მაგალითად, როდესაც ადამიანი მარტო იმყოფება ტყეში ის თვითგადარჩენაზეა ორიენტირებული, ხოლო როცა მოგარისე რამდენიმე ადამიანია, იქ ყველა მათგანი მოვალეა იზრუნოს ერთმანეთზეც, აქ ხშირად როლების დანაწილებასაც ჰქონდა ადგილი, მაგალითად, თუკი ხიზნები რამდენიმე ათეული ადამიანი იყო, მაშინ გამოიყოფოდა მცირე ჯგუფები, ზოგი ნადირობდა, ზოგი საჭმელ მცენარეებს აგროვებდა, ზოგი დაზვერვაზე გადიოდა, რათა მტერი არ შემოპარვოდათ და ა.შ.

გარისობა (გარესამხრობა) სხვადასხვა მიზნებს ემსახურებოდა (და ემსახურება) და მოიცავს მთელი რიგი მეთოდების, უნარების სისტემას, როგორებიცაა წყლისა და საკვების მოპოვება საველე პირობებში<sup>4</sup>. ასევე საჭიროა შესაბამისი სამოსი (გასთვალისწინებელია ფერი, სხვადასხვა რელიეფზე სიარული უწევს ქვებზე, ტალახში, ეკლები, ხიწვები) აღჭურვილობა (მაგალითად დანა რაიმეს გამოსაჭრელად, გასატყავებლად, თავდასაცავად და ა.შ ანდა ზამთრის დროს თვითნაკეთი თხილამურები, რათა თოვლზე სიარული შესაძლებელი იყოს და არ მოხდეს ფეხის ჩაფლობა, ასევე წნელით გაკეთებული წრიაპები სხვადასხვა უღელტეხილების, სრიალა კლდეების ან ფერდების გადასალახავად, გრძელი ჭოკები

<sup>4</sup> ადამიანის ორგანიზმს აუცილებლად ესაჭიროება ცილებით, ნახშირწყლებითა თუ ცხიმებით უზრუნველყოფა, მით უმეტეს ტყე-ველად, სადაც სხვადასხვა მკაცრი გარემო პირობების გათვალისწინებით ენერჯის ხარჯვა გაცილებით მეტია.

ნაპრალების, ხევების, ღელეების გადასალახად), თავშესაფარი- გადახურული ფანჩატურებიდან დაწყებული, თოვლის საფარში მოწყობილი სპეციალური თავშესაფრებით, ბუნებრივი გამოქვაბულებით, ტოტებით და ფიჩხებით შედგენილი სპეციალური საფარებით დამთავრებული. საკვებად აუცილებელი ცხოველების თუ მტრისთვის განკუთვნილი მახეების შესახებ ცოდნა, ორიენტაცია გარემოში, სხვადასხვა კვალის წარმოშობის, მათი დატოვების ხანდაზმულობის ამოცნობის, კვალის არევის, წაშლის უნარები და ა.შ.

გარისობა ანუ გარესამხრობა არ შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, რადგან როგორც ხშირად ხდებოდა, ხიზნად მიდიოდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ბრძოლა არ შეეძლო-ქალები, ბავშვები, მოხუცები, შესაბამისად სავლეთ პირობებში თავის გატანა ყველას უნდა შესძლებოდა. მაგალითად, რაჭაში ეთნოგრაფიულად დაფიქსირებულია, რომ „საფცქნელის“ ანუ ველური საკვები მცენარეულობის (დიყი, მდუსი, დიმელა, ლოლო და ა.შ.) შეგროვება ქალების და ბავშვების საქმე იყო, ამისთვის საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ და მიდიოდნენ მთაში, შესაბამისად, ყველა ქალი და ბავშვი ცნობდა მცენარეთა გარკვეულ კატეგორიას, რომლის საკვებად გამოყენებაც შესაძლებელი იყო. ასევე ნადირობის (მახეების და კაკანათების მოწყობის) ან თევზაობის სხვადასხვა სახეები ბავშვების საყვარელი გასართობი იყო, რაც ბუნებრივია გართობასთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებისაცაა, საჭიროების შემთხვევაში ექსტრემალურ პირობებში თავის გატანის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც პატარაობიდან ჰქონდათ შესისხლხორცებული.

საქართველოს ბუნება მეტად მრავალფეროვანია, დღესდღეობით ჩვენთან ითვლიან მცენარეთა 13300 სახეობას, რომელთაგან 4225 თესლოვანია, 75 გვიმრისებური, 600 ხავსი, 650 მღიერი, 5000 სოკოვანი, 2000 წყალმცენარე.

ფაუნა კი საქართველოში 100 ძუძუმწოვრითაა წარმოდგენილი, ფრინველების 330-ზე მეტი, თევზების, ამფიბიების და ქვეწარმავლების 200-მდე და უხერხემლოების ათასობით სახეობა გვხვდება.

საქართველოს ტერიტორია გარისობისთვის (გარესამხრობისთვის) ნამდვილი სამოთხეა<sup>5</sup>, განსხვავებით უკიდურეს სტეპების, არქტიკული ყინულების, გაუვალი ტყეების, უწყლო უდაბნოების და ა.შ. მხარეებისაგან, საქართველოს ლანდშაფტი იძლევა შესაძლებლობას, რომ ადამიანმა შეძლოს თავი გაიტანოს წელიწადის ოთხივე სეზონზე, საქართველოს ტყეები

---

<sup>5</sup> როდესაც საუბარია ისტორიულ გარისობაზე, თანამედროვე საქართველოს ბიომრავალფეროვნებასთან ერთად უნდა განვიხილოთ ისტორიული მხარეებიც- ლაზეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, ლორე, დვალეთი და სოჭი, ბუნებრივია იქ მოსახლე ადამიანები გარისობის (გარესამხრობის) დროს ზემოთაღნიშნული ადგილების ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებსაც იყენებდნენ

მუდამ სავსე იყო და არის ათასნაირი საჭმელი ბალახეულობით, ხის ნაყოფით და ნადირ-ფრინველით, ხოლო უხვი ჰიდროქსელი წყლის მარაგით უზრუნველყოფდა მოგარისეს.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების გათვალისწინებით, მცენარეთა გამოყენება საკვებად თუ სხვა დანიშნულებით ძალზე გავრცელებული იყო, მაგალითად გიორგი მერჩულე ამბობს: „კლარჯეთის უდაბნოში მხალთა ველისათა არს სიმრავლე“, ხოლო დავით გარეჯელის ცხოვრებაში მითითებულია, რომ დავითმა და ლუკიანემ „საზრდელი მოირეწიან რათმე მდელითა, რამეთუ იყო ჟამი გაზაფხულისა და ეძიებით ჰპოვიან ნუგეშისმცემელნი ხორცთაი“.

ივანე ჯავახიშვილი ველურ მცენარეულს მტილოვანებთან ანუ ბოსტნეულთან ერთად განიხილავს<sup>6</sup> და მათ 4 ჯგუფად ყოფს: ა) მხალი ბ) ძირხვენეული ანუ მდელი გ) მწვანილეული და სანელებელი დ) ხილი და ბაღყელი. მოგარისეს კვების რაციონში ასევე შედის ცხოველური წარმოშობის საკვებიც: ძუძუმწოვრების სხვადასხვა სახეები, ფრინველები და თევზები და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს ქვეწარმავლები და უხერხემლოებიც კი.

**მხალეულის** ქვეშ მოიაზრება საკვებ მცენარეთა მთელი რიგი სახეობები, რომელთა ფოთოლი და ღერო გამოყენებულია საკვებად. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი ეხება რა საქართველოს მცენარეულობას, ასეთ განმარტებას გვამღევს: „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროთ სახმარნი ბალახნი მხალად წოდებულნი და თესლნი, ვითარცა სატაცური, ისპანახი, სხვანი ვიტარცა კვლიავი ტყუისა და მისთანანი მრავალნი“. მხალი ანუ ფხალი ზოგადი ტერმინია, ბოლო პერიოდში მოხდა მისი მნიშვნელობის დავიწროება და ხშირად მას კონკრეტულ მცენარესაც უწოდებენ, ასევე დღესაც კი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში პოპულარულია ველურ მცენარეთა მთელი რიგი სახეობები, რომლისგანაც სხვადასხვა საჭმელს ამზადებენ (დანდური, ჭინჭარი, მოლოქა, ჯიჯილაყა და ა.შ.), დღესდღეობით ეთნოგრაფიული მონაცემებით დამოწმებულია მხალეულის 50-მდე სახეობა, რომელსაც გამოყენება აქვს კულინარიაში (ბალბა, ღვალო, სვინტრი, ხარიკბილა, იაია და ა.შ.), ამას ემატება ბალახეულთა ის სპეციფიური სახეობები, რომლებიც თანამედროვეობაში მართალია ფართო გამოყენებაში არ არიან, მაგრამ მისი საკვებად გამოყენება გარისობაში სავსებით დასაშვებია, ეთნოგრაფიული მონაცემებით და გადმოცემებით ასეულობით ასეთი მცენარეა ცნობილი, რომელთაგან ზოგი მათგანის შემადგენლობა და საკვებად ვარგისიანობა მეცნიერულად შესწავლილია, ნაწილი კი შეუსწავლელი. საერთოდ ცნობილია, რომ ვიტამინებისა და ამინომჟავების შემცველობა ველურ მცენარეებში უფრო მეტია ვიდრე კულტურულში.

<sup>6</sup> ველური მცენარეების დაჯგუფების სხვადასხვა სისტემა არსებობს, რომელსაც აქ არ განვიხილავთ.

**ძირხვენეული ანუ მდელო** მოიცავს ისეთ მცენარეებს, რომელთა ბოლქვი ვარგისია საკვებად, მართალია ასეთი მცენარეები მხალეულთან შედარებით ცოტაა, მაგრამ ზამთრის პირობებში, როცა მხალეული უკვე აღარ გვხდება და საკვების მოპოვება გაძნელებულია, ძირხვენეულს ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა, თუმცა მისი მოძიება თოვლის საფარქვეშ ან მიწაში მოითხოვს ბოლქვოვანი მცენარეების ზრდის თავისებურებების და მოძიების ხერხების ზედმიწევნით ცოდნას.

**მწვანილეული და სანელებელი**- გარისობის პირობებში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა სახელდახელოდ მომზადებული კერძების საგემოვნო თვისებების ასამაღლებლად და მადის გასაუმჯობესებლად გარკვეული პრაქტიკული დანიშნულება მაინც გააჩნია, ამავე დროს სანელებელი მცენარეების უმეტესობას ანტისეპტიკური თვისებებიც გააჩნია.

**ხილი**-ამ კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ საქართველოს ტყეებისათვის ეგოდენ დამახასიათებელი მაჭალო, პანტა, კუნელი, მოცვი, ჟოლო, მაყვალი და ა.შ. რომლებიც მინდორ-ველად მავალი ადამიანისათვის ნამდვილად ძვირფასი საკვებია, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტყეების მსგავსი პირობებით სხვა ქვეყნის ტყეები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან, განსაკუთრებით აღსანიშნავია წაბლი, წიფლის ნაყოფი, და რკო, ეს ორი უკანასკნელი თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული და ზამთრის პერიოდშიც ძირს ჩამოცვენილი თოვლის საფარველქვეშ დიდხანს ძლებს, მაგალითად რკოს რომელსაც მწარე გემო დაკრავს და საკმაოდ უსიამოვო საჭმელია, ხშირად ხარშავდნენ ან სხვაგვარად ამზადებდნენ, რის გამოც მწარე გემო ეკარგებოდა და მოგარისისათვის საკმაოდ ყუათიანი საკვები იყო.

მცენარეთა სამყარო ისეთ წარმომადგენლებსაც შეიცავს, რაც გამოიყენებოდა ზუზიების (შხამების) დასამზადებლად ან სამკურნალო მიზნით, ასევე თოვების მოსაგრებად, დასათბილად (მაგ. თომი), რაიმეს შესანახად (გვიმრა და ლიკოპოდიუმი) და ა.შ. ბუნებრივია გარისობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა მცენარეულობის სასარგებლო თვისებების ცოდნას, რათა მოგარისეს საჭიროების შემთხვევაში ზუსტად შეეძლოს განსაზღვროს რისთვის გამოიყენოს ესა თუ ის მცენარე.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ **სოკოები**, საქართველოში დაახლოებით 5000 სოკოვანი სახეობაა, მათი დიდი ნაწილი მიკროსკოპული ზომის ორგანიზმებია, რაც შეეხება საკვებად მოსახმარ სოკოებს მათი რიცხვი დაახლოებით 60-ია, ვის არ გაუგონია- ქამა, ჭადა, ნიყვი, მიქლიო, შავჩოხა, მანჭკვალა, კალმახა, ცხვარიო, ღვინიო და ა.შ. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა სოკოს შეგროვების, თერმული დამუშავების, რძით ფერმენტიზების და სხვა მეთოდები, რომელთა დიდი ნაწილი გარისობაშიცაა გამოყენებული.

**ფაუნითაც** საქართველო მდიდარია, ნადირობა და თევზაობა ჩვენს ქვეყანაში ძალზედ პოპულარული იყო და შესაბამისად ჩამოყალიბდა მთელი რიგი ხერხები. უნდა ითქვას, რომ

რუსეთის მიერ საქართველოს მპყრობელობის პერიოდში ქართული სამხედრო სისტემების აკრძალვის პირობებში ნადირობა-თევზაობა იყო ის ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინა, სადაც გარისობის (გარესამხრობის) ძირითადი ელემენტები შემორჩა, რადგან სწორედ ნადირობაში ვლინდება ბუნების მკაცრ პირობებთან ადამიანის დაპირისპირების, გამძლეობის, ამტანობის და თვითგადარჩენის თვისებები, ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს მთაზე, სადაც ნადირობა ოჯახის რჩენის და საკვების მოპოვების ძირითადი წყარო იყო, შესაბამისად ნადირობდნენ წელიწადის ოთხივე სეზონში და ეს იმდენად სახიფათო საქმიანობა იყო, რომ ხშირად უკანაც ვერ ბრუნდებოდნენ. ზვავი, ქვათა ცვენა, კლდიდან გადაჩეხვა, თოვლში ჩაფლობა, გაავებული ნადირის შემოტევა, ავად გახდომა, მოტეხილობა-ღრძობა, საკვები მარაგის გამოლევა, სიცხე, სიცივე-აი იმ სიძნელების არასრული ჩამონათვალი, რასთან შეხვედრაც უწევდათ მამაც მონადირეებს, განსაკუთრებით ჯიხვებზე და არჩვებზე მონადირეებს და სწორედ აქ მოითხოვებოდა მათი გაწაფულობა და გარისობის (გარესამხრობის) სათანადო ცოდნა, ჩვენ აქ არ განვიხილავთ თითოეულ მათგანს, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ხშირად სანადიროდ წასული მონადირე, რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდეც კი შეეყვნებულა კლდესა და ტყეში, ბუნებრივია გარისობაში (გარესამხრობაში) გაუწაფავ ადამიანს უკან დაბრუნების შანსი ნაკლებად ჰქონდა<sup>7</sup>.

არსებობდა სხვადასხვა სახეობის მახეები და სარეგავები, რომლებიც განკუთვნილი იყო დიდი და მცირე **ტუტუმწოვრების ან ფრინველების** შესაპყრობად, ასევე იყო **თევზაობის** საკმაოდ ბევრი ხერხი, ბუნებრივია გარისობაში (გარესამხრობაში) გამოყენებულია ისეთი მახეების მომზადება და დაგება, რასაც ტყეში მარტოდმარტო მყოფი ადამიანი ან მოგარისე ჯგუფი შესძლებს.

ცხოველური საკვები მდიდარია ცილებით, ცხიმებით და სხვა ნივთიერებებით, რაც ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისთვის აუცილებელია. ადამიანი, რომელსაც საველე პირობებში, აგრესიულ გარემოში უწევს შეასრულოს სხვადასხვა მოქმედება (მდინარეების, ნაპრალების გადალახვა, უსწორმასწორო რელიეფზე მოძრაობა, სიცხის, სიცივის ატანა და ა.შ.) ბუნებრივია, ბევრ ენერგიას ხარჯავს, შესაბამისად, ცხოველური საკვები აუცილებელიცაა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხორცი ეკუთვნის მალფუჭებად პროდუქტს, განსაკუთრებით ცხელი სეზონის პერიოდში მოპოვებული ხორცის შენახვა გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული და გარისობა ასევე მოიცავს ხორცის გახმობის, ბოლში გამოყვანის, მცენარეთა ფოთლებსა თუ წვენიში შენახვის სხვადასხვა

---

<sup>7</sup> მაგალითად, ძველი თაობის რაჭველ მონადირეთა გადმოცემით, ყოფილა შემთხვევა, ჯიხვის დევნაში ისეთ ქარაფებამდე მისულან, რომ იძულებული გახდნენ მუჯირა (მთაში სასიარულო რკინისწვეტიანი ჯოხი) გადაეგდოთ, რათა მოეხერხებინათ იმ ვიწრო ქიშხე თავის შემაგრება და გამოსვლა.



ხერხებს. აქვე ყურადღება უნდა გავამხვილოთ ერთ ფაქტორზეც, ხშირად ძუძუმწოვრების, თევზებისა და ფრინველების მოპოვება სხვადასხვა პირობების გამო შეუძლებელია, შესაბამისად დგება საკითხი ფაუნის სხვა წარმომადგენლების მოხმარებისა. საქართველოს პირობებში, როცა საკვები მცენარეების დიდი ასორტიმენტია, არ არის უხეხემლოების (ჭია-ღუა და მატლები) გამოყენების დიდი აუცილებლობა, თუმცა გარისობის (გარესამხრობის) მეთოდები მაინც მოიცავს სხვადასხვა ჯიშის **უხეხემლოების** საკვებად მომზადების გარკვეულ წესებს. საქართველოში რამდენიმე ათასი ჯიშის უხეხემლოების წარმომადგენელი ცხოვრობს.

საველე პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მოპოვებული ცხოველური წარმოშობის სხვა ნედლეულის გამოყენებასაც: ძვალი, ტყავი, ბეწვი, ცხიმი მოგარისეს სხვადასხვა მიზნით გამოადგება და მისი საჭიროება დაკავშირებულია საველე პირობებში გაჩერების ხანგძლივობაზე, წელიწადის სეზონსა და გარემო პირობების თავისებურებებზე.

გარისობის ერთ ერთ მთავარ მიმართულებას შეადგენდა საველე პირობებში მკურნალობა, ბუნებრივია ის გარემოება, რაც იწვევს ადამიანის ყოფნას საზოგადოებისგან მოწყვეტილად, ძირითადად დაკავშირებულია აგრესიულ გარემოსთან (სტიქიური უბედურება, კატასტროფა, ომი, სამხედრო ოპერაცია და ა.შ.) რაც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ველური გარემო მუდამ აგრესიულია და მეტნაკლებად იწვევს ადამიანის ორგანიზმის დაზიანებას (მოტეხილობა, გადაღლა, მოყინვა, ჭრილობა, ხიწვის შერჭობა, გაციება, შინაგანი სნეულებანი, ცხოველისგან მიყენებული დაზიანება, შხამიანი მწერების და ქვეწარმავლების კბენა, დაჟეჟილობა და ა.შ) ბუნებრივია, მოგარისის ჯანმრთელობის ნებისმიერი ვნება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, ვინაიდან გარისობა (გარესამხრობა) ესაა გადარჩენისთვის ბრძოლა და ნებისმიერი დაავადება და სატკივარი ამ შანსებს ამცირებს, დაბლა სწევს მოგარისის ბრძოლისუნარიანობას, ხოლო ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფის რომელიმე წევრის ავადმყოფობა შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს სხვა წევრებისათვისაც, რადგან ნელდება ჯგუფის მანევრირებისუნარიანობა და ავადმყოფ წევრზე ზრუნვა დამატებით რესურსებსა და ენერჯიას მოითხოვს.

კოლხი მედეას ქვეყანაში სამკურნალო წამლების და ხერხების ცოდნის ნაკლებობა არასოდეს ყოფილა, ამაზე მეტყველებს არამხოლოდ წერილობითი ძეგლები და კარაბადინები, არამედ ეთნოგრაფიული მასალები, გარისობა (გარესამხრობა) კი იყენებს იმ სამკურნალო საშუალებებს, რომლის მოპოვება და გამოყენება შესაძლებელია საველე პირობებში, გამომდინარე იქედან, რომ მოგარისე იმყოფება ტყესა და ველში მის ხელთაა მცენარეულ, მინერალურ და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებათა ნაირგვარი ვარიანტები. მკურნალობის კარგი ცოდნა მოგარისეს ეხმარება წელიწადის დროისა და გარემო პირობების შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი მცენარის თუ სხვა ნივთიერების მოპოვება და წამლის დამზადება, სახვევების დადება, არტაშანების გამოყენება და ა.შ. გამომდინარე იქედან, რომ ლანდშაფტები განსხვავებულია, ხოლო საქართველოს სხვადასხვა

კუთხეს მცენარეების, ცხოველების და მინერალების განსხვავებული გავრცელება ახასიათებს, მიზანშეწონილია, მოგარისე თანაბრად იყოს მომზადებული, რათა ახალ გარემოში აღმოჩენის შემთხვევაში რომელიმე საშუალება უცნობი არ დარჩეს და შეეძლოს საქართველოს ყველა კუთხის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების ცნობა და გამოყენება.

გარისობაში თავდაცვის ხერხების ცოდნაც ძირეულია, კიდევ ვიმეორებთ, ველური გარემო, რომელშიც გარესამხრობისას მოგარისეს უწევს ყოფნა საკმაოდ აგრესიულია და ეს აგრესიულობა კიდევ უფრო იზრდება ზამთრის ყინვების პერიოდში.

ტყეში სადაც მტაცებელი ცხოველები ან შხამიანი ქვეწარმავლები ბინადრობენ, ადამიანს ერთის მხრივ უწევს თავის გადარჩენა სიცვიის ან სიცხისგან (ავად გახდომისაგან), მეორეს მხრივ მტაცებელი ცხოველებისგან. საბედნიეროდ, ამ მხრივ საქართველო შედარებით უსაფრთხო ქვეყანაა და ნამდვილად ვერ შეეძრება ამაზონის ან ახალი გვინეის ჯუნგლებს, მტაცებელი ცხოველებიც გარკვეულ გამონაკლისების გარდა შედარებით ნაკლებსაშიშნი არიან, ასევე საქართველოს ქვეწარმავლებიც არ გამოირჩევიან ისეთი აგრესიულობით, როგორც ტროპიკული კლიმატის ბინადარნი<sup>8</sup>. მოგარისის თავდაცვა მხოლოდ მხეცებისგან თავდასხმისაგან დაცვას არ გულისხმობს, წელიწადის ოთხივე დროს მოგარისეს უწევს სხვადასხვა კლიმატური პირობებისაგან თავის შეფარება, განსაკუთრებით ძლიერი წვიმებისა და თოვის დროს, მთაში სადაც თოვლის საფარმა შეიძლება კრიტიკულ ნიშნულს მიაღწიოს და ამავე დროს ტემპერატურა მკვეთრად დაეცეს. ყინვა ყველაზე საშიში მოვლენაა და განსაკუთრებით საფრთხილო იმ გარემოებაში, როცა ცეცხლის დანთება სხვადასხვა პირობის გამო (მტრის გამოჩენა, შესაბამისი აღჭურვილობის არ არსებობა, ავადმყოფობა და ენერჯის გამოლევა) არ ხერხდება. შესაბამისად, გარისობაში (გარესამხრობაში) დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება დაცვის ხერხებს, როგორც თავშესაფრების მოწყობას, ხის, ქვის და სხვა მასალის იარაღის დამზადების და გამოყენების ხერხებს.

გარისობაში ასევე საკვანძო საკითხია ორიენტირების პრობლემაც, გარისობა ანუ თვითგადარჩენა გულისხმობს, რომ სავლეთ პირობებში მყოფი ადამიანი იბრძვის ადრე თუ გვიან სამშვიდობოზე გასასვლელად, შესაბამისად, ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მოძრაობის მიმართულების გაგება გარისობაში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საქართველო არაა უკიდევანო ტყეების, თვალუწვდომელი მინდვრების ან გამოუღვეველი ოკეანეების თუ ყინულების ქვეყანა, სადაც დასახლებულ პუნქტამდე გასვლა დიდ შრომასა და დროს მოითხოვს, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მოგარისის ყოფნა სავლეთ პირობებში კონკრეტული მიზნითაც შეიძლება იყოს გამოწვეული (მაგ. თავი აარიდოს მტერთან შეხვედრას ან მიემშრებოდეს კონკრეტული სამიზნისკენ), ბუნებრივია, ესაჭიროება

---

<sup>8</sup> საქართველოში მობინადრე საშიშ სახეობებად შეიძლება დავასახელოთ კავკასიური გიურზა, კავკასიური გველგესლა, ხევსურული კლდის მორიელი გაზაფხულის პერიოდში და ა.შ.

სპეციალური მეთოდების ცოდნა, რაც ორიენტაციაში დაეხმარება. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია გზის გაგნების, ორიენტაციის ხერხების საკმაოდ ოდენობა, რომელიც დაფუძნებულია ბუნების მოვლენებზე თუ საგნებზე დაკვირვებაზე და ორიენტაციის შესაბამისად განსაზღვრაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ამინდის გამოცნობის ხერხები, რათქმუნდა ამინდის დროული შეტყობა ავდრისაგან თავის შეფარების, სხვადასხვა გართულებებისგან თავის დაზღვევის და გზის უხიფათოდ გაგრძელების საწინდარია. ამინდის ამოცნობის ხერხებიდან აღსანიშნავია, როგორც უშუალოდ ბუნების მოვლენებზე დაკვირვება<sup>9</sup>, ასევე მცენარეებზე, ფრინველებზე ან მწერებზე დაკვირვება, ვინაიდან ცნობილია, რომ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები წინასწარ გრძნობენ ამინდის ცვლილებას და ადეკვატურად იქცევიან.

ბუნებრივია, საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობა ვითარდებოდა, იცვლებოდა კლიმატიც და რეგიონის ლანდშაფტიც, ამ უკანასკნელის მაგალითად გამოდგება გარეჯის უდაბნოს მიდამოები, რომელიც ერთ დროს დასახლებულ და აყვავებულ ადგილს წარმოადგენდნენ, კოლხეთის ბარის ფლორის ცვალებადობა, როცა ერთმანეთს ცვლიდნენ მუხნარი თუ წიფლნარი ტყეების დომინანტური ლანდშაფტები, მოგვიანებით ჭაობები და .შ. ჭაობების ამოშრობა, ასევე იმერეთის, რაჭის თუ სამეგრელოს დასახლებული ზონები, სადაც ადამიანი ათასწლეულებია სახლობს და შესაბამისად ინტენსიური სამეურნეო ღონისძიებების შედეგად ტყე გაიჩეხა და ფლორისა თუ ფაუნის სხვა ფორმაციები მივიღეთ, აღსანიშნავია აკლიმატიზებული თუ შემდეგ შემოსული სახეობები, როგორც ფლორის ასევე ფაუნის წარმომადგენლებისა, რაც ბუნებრივია თანამედროვე გარისობისათვის (გარესამხრობისათვის) ახალ ამოცანებს სახავს.

დღესდღეობით გარისობა (გარესამხრობა) საზღვარგარეთ სათანადო სიმაღლეზე დგას, ნებისმიერი ძლიერი სახელმწიფო ცდილობს შექმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ამ მეტად თავისებური სისტემის სრულყოფილი დაუფლებისა და პრაქტიკული გამოყენებისაკენ. გარისობის ცალკეული ელემენტები კი მეტნაკლები სიღრმით ისწავლება შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა კონტიგენტისათვის. დღესდღეობით უკვე წარმოუდგენელია საგანგებო დავალებებისთვის სპეცდანიშნულების რაზმების არსებობა, რომლებიც არ იქნებიან მომზადებული გარისობაში (გარესამხრობაში), რითაც ეს დანაყოფები უფრო ბრძოლისუნარიანი ხდებიან, განსაკუთრებით ისეთი ოპერაციების დროს, რომელიც მოითხოვს აღნიშნული ჯგუფების ფარულ ან აშკარა მოქმედებას მტრის ტერიტორიის სიღრმეში, ოკუპირებულ ან ტერორისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, თანაც ხანგრძლივი ვადით, სათანადო ლოჯისტიკური მხარდაჭერის სიმძლავის ან შეუძლებლობის პირობებში. ჯარისკაცი, რომელიც გარისობაში (გარესამხრობაში) კარგადაა გაწვრთნილი, უფრო თავდაჯერებულია, ხოლო გარკვეულ სიტუაციებში (ძირითად

<sup>9</sup> ღრუბლის სისქის, ფერის, მოძრაობის სიწრაფის განსაზღვრა, თოვლის ფიფქების ცვენის ინტენსივობაზე, კონსისტენციაზე, წვიმის წვეთების სიხშირესა თუ ქარის სხვადასხვა მიმართულებით ქროლაზე დაკვირვება, სიციხის აღმურის სიძლიერე და სხვ.

ქვედანაყოფთან მოწყვეტის, მეთაურის დალუპვის, ტყვეობიდან გამოპარვის, დაკარგვის დროს, დივერსიული დავალებების შესრულებისას და ა.შ.) მისი მოქმედება გაცილებით ეფექტურია და უფრო მეტადაა დაზღვეული შეცდომებისაგან, გარისობაში (გარესამხრობაში) გამოწრთობილი მებრძოლი ფსიქოლოგიურად გაცილებით მდგრადია, ვინაიდან თავდაჯერებულობას მატებს იმის გაცნობიერება, რომ მისთვის ნაკლებსაშიშია გარემო პირობები და დაბრკოლება, რასაც შეიძლება წააწყდეს ბრძოლის ველზე და ფსიქოლოგიურად ნაკლებადაა მიჯაჭვული ლოჯისტიკაზე, რაც დამოუკიდებელი მოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევს მტრული გარემოცვის პირობებში.

ცივლიზაცია ვითარდება და ტექნიკურმა პროგრესმა ხელმისაწვდომი გახადა ისეთი საშუალებები და მასალა, რაც ადრე არ არსებობდა (პოლიეთილენი, პლასტმასი, სხვადასხვა სახის ტექნიკა, გადამცემები და ა.შ.) რამაც გარისობის ახალი ხერხების შემუშავება გამოიწვია, დღესდღეობით არსებობს არაერთი გარისობის სისტემა თუ მიმდინარეობა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში თუ სამოქალაქო თავდაცვაშია დანერგილი<sup>10</sup>, შესაბამისად არსებობს დიდი გამოცდილება, რაც ამ კუთხით კაცობრიობამ დააგროვა.

ქართული გარისობა (ანუ გარესამხრობა) არის მკვიდრი ქართული სკოლა, რომელიც მორგებულია ადგილობრივ გარემო პირობებს და მთელი რიგი მეთოდები ორიგინალურია, ანალოგი არ მოეპოვება სხვა მსგავს სისტემებში. რათქმაუნდა ტექნიკური პროგრესის შედეგი სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, შეჯერებული ტრადიციულ მეთოდებთან, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ამ კუთხით. ადგილობრივ პირობებთან მორგებული გარისობის (გარესამხრობის) დანერგვა კი ნამდვილად წადგება ქართულ ჯარსა და სამოქალაქო თავდაცვის საქმეს, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზეც დადებითად აისახება.

---

<sup>10</sup> ინგლისურად გარისობა აღინიშნება Survival skills, ხოლო რუსულად выживания в экстремальных ситуациях ფორმით ან უბრალოდ выживания.